აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

2020წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში

2020 წელი

თბილისი

სარჩევი

1. **ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ 3**

1.1 სამინისტროს სტრუქტურა 3

1.2 საქმიანობის წარმართვის ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო 4

1.3 საქმიანობის ზოგადი მიმართულებები 4

2. **სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ 2020 წლის 9 თვეში განხორციელებული აქტივობები 5**

2.1 ადმინისტრაციული დეპარტამენტი 5

2.2 საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური 6

2.3 იურიდიული დეპარტამენტი 8

2.4 საბიუჯეტო დეპარტამენტი 9

2.5 სახაზინო სამსახური 11

2.6 ეკონომიკური დეპარტამენტი 13

2.7 ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი 15

2.8 აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური 17

2.9 შიდა აუდიტის სამსახური 18

3. **სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ 2020წლის 9 თვეში განხორციელებული აქტივობები 19**

3.1 საქვეუწყებო დაწესებულება-აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი 19

3.2 საქვეუწყებო დაწესებულება-ინფრასტრუქტურისა და დარგობრივსაკითხთადეპარტამენტი 19

3.3 სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“ 26

3.4 სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო 26

3.5 სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“ 31

3.6 სსიპ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა 32

3.7 ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის 34

4. სამინისტროს სხვა აქტივობები 36

1. ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ

1.1 სამინისტროს სტრუქტურა

სამინისტროს შემადგენლობაშია 5 დეპარტამენტი და 4 სამსახური

დიაგრამა N 1. სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულები



სამინისტროს დაქვემდებარებაში არის 2 საქვეუწყებო დაწესებულება და 3 საჯარო სამართლის იურიდიული პირი:

დიაგრამა N 2. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები



სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ასევე, მასთან ერთობლივად დაფუძნებული ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ საქმიანობა. გარდა აღნიშნულისა, სამინისტრო ახორციელებდა მის სისტემაში შემავალი, სახელმწიფოს 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 12 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (სამედიცინო დაწესებულებები) საქმიანობის ზედამხედველობას.

1.2 საქმიანობის წარმართვის ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელობდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო და კანონის ქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სამინისტროს დებულებით, მინისტრის ბრძანებებით, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებული მთავრობის განკარგულებებით და უწყებათაშორისი საგანგებო მდგომარეობის მართვის შტაბის გადაწყვეტილებებით.

1.3 საქმიანობის ზოგადი მიმართულებები

სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს 2020 წლის 9 თვეში წარმოადგენდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება, ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა, სტატისტიკური აღრიცხვა, იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარული, გარემოსდაცვითი და დარგობრივი მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართებით პროექტების, პროგრამების და წინადადებების მომზადება და განხორციელება და სხვა.

2. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ 2020 წლის 9 თვეში განხორციელებული აქტივობები

2.1 ადმინისტრაციული დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტი თავის უფლებამოსილების ფარგლებში დაკავებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ძირითადი მიმართულებების განხორციელების ხელშეწყობით.კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N 219 დადგენილების შესაბამისად, გაკეთდა სამინისტროს თანამშრომელთა 2018-2019 წლის საბოლოო შეფასების შეჯამება, ასევე 2020 წლის 6 თვის შუალედური შეფასება;
- შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებაზე დაყრდნობით მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმა და აისახა საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- მომზადდა მინისტრის 311 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- სამინისტროს ვაკანტური თანამდებობებისთვის მომზადდა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა, ასევე კომისიის შემადგენლობის ბრძანების პროექტი. გამოცხადებულ იქნა კონკურსი 6 ვაკანტურ თანამდებობაზე;
- შეფასებულ იქნა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოხელეები;
- შემუშავდა სამინისტროს სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის ახალი წესი;
- ყოველი კალენდარული თვის დასაწყისში სამინისტროში შექმნილი დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელ კომისიას საკონტროლო აღრიცხვის სისტემაზე

დაყრდნობითმიეწოდებოდა ინფორმაცია შრომითი დისციპლინის დაცვასთან დაკავშირებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს მიეწოდა ინფორმაცია თანამშრომელთა შეფასებასთან და კლასების მინიჭებასთან, პერიოდულად შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ პირთა დასაქმებასთან დაკავშირებით, ასევე მიეწოდებოდა ინფორმაცია გამოცხადებული კონკურსების შედეგებისა და სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის 2020 წლის გაზაფხულის ნაკადის მონაცემების შესახებ.

მოთხოვნის საფუძველზე სამჯერ მომზადდა და გაიცა მოცულობითი საჯარო ინფორმაცია. დეპარტამენტის მიერ განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული სამინისტროს დებულებით განსაზღვრული სხვადასხვა შინაარსის ანგარიშების დროულად წარდგენაზე, სამინისტროს ყოველკვირეულ თათბირზე გაცემული დავალებების შესრულებაზე. დეპარტამენტის მიერ ყოველკვარტალურად მზადდებოდა მინისტრის მიერ გაცემული დავალებების ანალიზი. წლის პირველ ნახევარში ორჯერ ჩატარდა დისციპლინური კომისიის სხდომა. დეპარტამენტი უზრუნველყოფდა დისციპლინარული კომისიების მუშაობის ორგანიზებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ მომზადებულ იქნა ინფორმაციები სამინისტროს სტრუქტურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებებში და სპეციალურ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში „დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება“ მონაწილეობის შესახებ.

დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში შემოვიდა და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) დარეგისტრირდა სულ 1 120 დოკუმენტი. სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში გაიგზავნა 523, ჯამში შემოსული და გასული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა 1 643 ერთეული. სამინისტროს თანამშრომელთა მიერ შეიქმნა შიდა მიმოწერის 646 დოკუმენტი.

ცხრილი N 1კორესპონდენციის გადაწერა

ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტს	365
საბიუჯეტო დეპარტამენტს	355
ადმინისტრაციულ დეპარტამენტს	246
სახაზინო სამსახურს	104
იურიდიულ დეპარტამენტს	91
საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურს	55
შიდა აუდიტის სამსახურს	32
ეკონომიკურ დეპარტამენტს	30
აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახურს	13

2.2 საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური

სამსახურის მიერ მომზადდა:

- სამინისტროს აპარატის 2019 წლის წლიური ბალანსი;

- სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულების 2019 წლის წლიური კონსოლიდირებული ბალანსი;
- 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განწერა;
- სამინისტროს აპარატის 2021–2024 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.

ცხრილი N 2 საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტორნული მომსახურების სისტემაში (https://www.etreasury.ge) დარეგისტრირებული დოკუმენტები

ხელშეკრულება	121
ვალდებულება	135
პირველადი დოკუმენტი	318
ინვოისი	366
საგადახდო მოთხოვნა	1 438
შრომის ანაზღაურებუს უწყისი	78
მივლინება	33

ელექტრონულ სისტემაში (https://edocument.ge) დაფიქსირდა330 დოკუმენტი (ყველა შესრულებული). 2020 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს CMR მოდულში აიტვირთა 121 ხელშეკრულება ჯამში 123 484,78 ლარის ოდენობით, ხარჯმა შეადგინა 72 736,12 ლარი, მ.შ. 4 ხელშეკრულება გაფორმდა. სამინისტროში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ჩატარებულ იქნა 300 ლარის სადეზინფექციო სამუშაოები, ასევე შესყიდულ იქნა 200 ლარის დეზობარიერი და სადეზინფექციო საშუალებები 653,50 ლარის ოდენობით (ჯამში 1513,50 ლარი).

სამინისტროში სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნის მიზნით, სხვადასხვა მომწოდებელი ორგანიზაციებიდან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შეძენილ იქნა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და მატერიალური მარაგები (შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით).თითოეულ აქტივზე გაიხსნა საინვენტარო ბარათი და მიენიჭა საინვენტარო ნომერი. შესყიდული მატერიალური ფასეულობა მომენტალურად აღირიცხა საინვენტარო რეესტრში და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა დროებით მოსარგებლეს. წარმოებდა ინვენტარის შიდა გადაადგილების აღრიცხვა, ხორციელდებოდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი. გარემონტებულ იქნა სამინისტროს ბალანსზე არსებული სამორიგეო ავტომანქანები ,,მერსედეს ბენც“ და ,,შკოდა ოქტავია“. რეგულარულად მიმდინარეობდა კონტროლი საწვავის ლიმიტის ხარჯვაზე, სამინისტროს სამორიგეო ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე. დადგენილ იქნა სამორიგეო ავტომობილით სარგებლობის პრიორიტეტულობა.

ორგანიზება გაეწია სამინისტროს ბალანსზე არსებული მცირეფასიანი აქტივების გადაცემას სამინისტროში შემავალი სსიპ-ებისა და უწყებებისათვის.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა და ჩამოიწერა ამორტიზებული და წარმოებისათვის გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობები. სამინისტროში ჩატარდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები.

2.3 იურიდიული დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიერ:

- შემუშავდა:

– ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 24 დეკემბრის N42 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

– სამინისტროს დებულებაში ცვლილების პროექტი;

– ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების პროექტი;

- განხორციელდა შესაბამისი სამართლებრივი ექსპერტიზა დეპარტამენტში შემოსულ შემდეგ სამართლებრივ აქტებზე:

– აფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისაფხაზეთისავტონომიურირესპუბლიკისმთავ რობისდადგენილების 4პროექტზე;

– ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე“;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის ბრძანების 6 პროექტზე;

– ა(ა)იპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის“ წესდების პროექტზე.

- წარმომადგენლობა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ირაკლი აბაშიძის სარჩელთან დაკავშირებით.

- მომზადდა:

– კერძო საჩივარი ,,საქმისწარმოების შეჩერების შესახებ“ თბილისის საპელაციო სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის განჩინებაზე (საქმე N330310017001842772; საქმეN 3ბ/378-19);

– შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე;

– მომზადდა შპს ,,საოჯახო მედიცინის ცენტრის” წესდება;

- მომზადდა შემდეგი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები:

– შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის კაპიტალში“ცვლილებების შეტანის შესახებ;

– გადაწყვეტილება საწარმოთა შერწყმის შესახებ;

- მომზადდა სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის წესი;

- განხილულ იქნა და შესაბამისი წერილობითი პოზიცია მომზადდა შემდეგ კორესპონდენციაზე:
  - სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების,კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის - ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ საშტატო ნუსხასთან დაკავშირებით;
  - სსიპ „გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს“ საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
  - მოქალაქე ჯუმბერ ციმინტიასა და მოქალაქე მუხრან სილაგავას შრომის სტაჟის დადგენასთან დაკავშირებით;
  - მოქალაქე ხვიჩა ლაბარტყავას წერილთან დაკავშირებით;
- განხორციელდა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა და ვიზირება.
- წარმოდგენილ იქნა სამინისტროს ინტერესები სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში მოქალაქე ირმა დონაძის N3/2-20-სა და მოქალაქე ჯუმბერ ციმინტიას N3/3-20 ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შრომითი სტაჟის დადგენას;
- შემუშავდა ბრძანების პროექტი ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“;
- მომზადდა შენიშვნები და წინადადებები იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტზე.

2.4 საბიუჯეტო დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიერ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღების შემდგომ შეტანილ იქნა კვარტალური განწერა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (www.ebudjet.ge) და აისახა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში (www.etreasury.ge);

საანგარიშო პერიოდში მომზადდა:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 3 თვის, 6 თვის და 9 თვის ანგარიში, რომელიც წარედგინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;
- მომზადდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესატანი ცვლილებების ოთხი პროექტი. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე შეტანილ იქნა დაზუსტებული კვარტალური ასიგნებების მონაცემები ბიუჯეტის მართვის

ელექტრონულ სისტემაში (www.ebudjet.ge) და აისახა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში (www.etreasury.ge);

ცხრილი N 3 აფხაზეთის ა/რ 2020 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები 2020 წლის 01.10 2020-მდე

N	მუხლის დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	I ცვლილება	II ცვლილება	III ცვლილება	IV ცვლილება
1.	ბიუჯეტი (გადასახდელები)	18 000 509	18 000 509	18 000 509	19 447 969	19 632 969
2.	შემოსავლები	16 530 00	16 530 000	16 530 000	17 977 460	18 162 460
					1 447 460	185 000
2.1	საშემოსავლო გადასახადი	8 200 000	8 200 000	8 200 000	8 677 460	8 677 460
					477 460	
2.2	სხვა შემოსავლები	330 000	330 000	330 000	300 000	300 000
					-30 000	
2.3	სპეციალური ტრანსფერი (გრანტი)	8 000 000	8 000 000	8 000 000	9 000 000	9 185 000
					1 000 000	185 000
	ნაშთი 01.01.2020	1 614 303	1 614 303	1 614 303	1 614 303	1 614 303
	ცვლილებების დროს გამოყენებული ნაშთი	-	-	-	-	-
3.	სულ გამოყენებული ნაშთი	1 470 509	-	-	-	-
3.1	გამოუყენებელი ნაშთი	143 794	143 794	143 794	143 794	143 794

- შემუშავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წ.წ.;
- მხარჯავი დაწესებულებების მიერ 25 აგვისტოს მოწოდებული საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე, მიმდინარეობს სამუშაოები „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის ფორმირებაზე;
- 2020 წლის 9 თვეში ფიქსირდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს (კვარტალებს) შორის თანხების გადანაწილების 125 ფაქტი. უმეტესად ეს ცვლილებები დაუსაბუთებელია და პროგრამის საბოლოო მიზნებსა და შედეგებზე არ არის ორიენტირებული. ეს კი მიუთითებს დაგეგმვის ეტაპზე ბიუჯეტის ფორმირების პროცესში დაშვებულ შეცდომებზე და უზუსტობებზე, რაზეც სამინისტროს მრიდავ კიდევ უფრო გამკაცრდება კონტროლი.

- ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სამინისტროს მიერ გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ რესპუბლიკურ ბიუჯეტში მოძიებულ იქნა 1 006 000 ლარი.
- სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის შემოსავლების მობილიზების სამმართველოს გაწეული სამუშაოების შედეგად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2020 წლის 9 თვეში მობილიზებულია შემოსავლების სახით სულ 14 072 168 ლარი, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი - 6 717 198 ლარი, სხვა შემოსავლები - 212 530 ლარი, გრანტები (სპეციალური ტრანსფერი) - 7 142 440 ლარი.

ცხრილი N 4 აფხაზეთის ა/რ 2020 წ. 9 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	**9 თვის დაზუსტებული გეგმა**	**9 თვის ფაქტიური შესრულება**	**სხვაობა (+,-)**	**შესრულება %-ში**
შემოსავლები	**13 508 180**	**14 072 168**	**563 988**	**104.2**
გადასახადები	6 296 180	6 717 198	421 440	106.7
გრანტები	7 000 000	7 142 440	142 440	102.0
სხვა შემოსავლები	212 000	212 530	530	100.3

ახალი კორონავირუსის (COVID–19) გავრცელების პრევენციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემდგომ ეტაპზე ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებებისთვის სამინისტრო აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური რესურსის (სპეციალური ტრანსფერი) გამოყოფის თაობაზე. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტს დამატებით გამოეყო 1 000 000 ლარი და ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრა 9 000 000 ლარით. ამ ეტაპზე გრძელდება მუშაობა ტრანსფერის მოცულობის კიდევ გაზრდასთან დაკავშირებით.

2.5 სახაზინო სამსახური

საანგარიშო პერიოდში ხაზინის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გადასახდელების დაფინანსება.

ცხრილი N 5სახაზინო სამსახურის საქმიანობა 01.01.2020 – 30.09.2020

ვალდებულება/განაცხადი		
	რაოდენობა	თანხა, ლარი
დამტკიცებული	2 972	32 890 598,57
დაწუნებული	283	1 008 474,09
საგადახდო მოთხოვნა		
დამტკიცებული	21 511	13 222 735,64
დაწუნებული	440	296 327,71

სახელფასო პაკეტი	
დამტკიცებული	1 104
დაწუნებული	47

საანგარიშო პერიოდში ცვლილება შევიდა შესყიდვების ვებ-გვერდზე ხელშეკრულებების რეგისტრაციის წესში, რამაც ცვლილება გამოიწვია ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის განთავსების პირობაზე.

ასევე, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში, სახელფასო მოდულში, დაემატა დაკავება stopcov შესაწირი/ქველმოქმედება, რომელიც სიახლე გახლდათ მხარჯავი ორგანიზაციებისათვის, რაზედაც მათ ყოველდღიურად ეწეოდათ კონსულტაციები სახაზინო სამსახურის თანამშორმლების მხრიდან.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ:

- ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიეწოდებოდა ყოველკვარტალური ინფორმაცია ბიუჯეტის დეტალური ხარჯების შესახებ ნაზარდი ჯამით;
- დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობის მობილიზების მიზნით,სახაზინო სამსახურში ყოველდღიურად ხორციელდებოდა აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი და ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების კონტროლი, თავისუფალი ფულადი სახსრების კომერციულ ბანკში გადატანა და საჭიროებისამებრ ხაზინის ანგარიშზე დაბრუნება. 2020 წლის 01 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით დეპოზიტზე დარიცხული პროცენტის სახით შემოსავალმა შეადგინა 205 322,55 ლარი;
- ყოველდღიურად წარმოებდა აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების აღრიცხვა;
- დამუშავდა 2019 წლის წლიური და 2020 წლის 6 თვის ბუღალტრული ანგარიშგებები. გამოვლენილ იქნა უწყებების მიერ ბუღალტრული ანგარიშგებების წარდგენის ვადების დარღვევა;
- ჩატარდა ბუღალტრული ანგარიშგების დანართი ფორმების ჯვარედინი გადამოწმება, წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯების სახაზინო პროგრამის მონაცემებთან შედარება, მონაცემების არითმეტიკული გადაანგარიშება. 2019 წლის წლიური ბუღალტრული ანგარიშგების შესწავლის შედეგად 13 ორგანიზაციის, ხოლო 2020 წლის 6 თვის ბუღალტრული ანგარიშგების შესწავლის შედეგად 5 ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაში გამოვლინდა უზუსტობები და შეუსაბამობები. ხარვეზები გასწორებულ იქნა;
- მომზადდა აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2019 წლის წლიური და 2020 წლის 6 თვის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება და ახსნა-განმარტებითი ბარათები, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც გადაეგზავნა აფხაზეთის ა/რ მთავრობას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;

- 2019 წლის ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2019 წლის 24 დეკემბრის №42 დადგენილებაში მომზადდა ცვლილების პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა მთავრობის 10 აპრილის დადგენილებით.

ასევე, სახაზინო სამსახურმა მოამზადა სხვადასხვა სახის ინფორმაცია:

- 2020 წლის აფხაზეთის ა/რ სტრუქტურებში შტატგარეშე მოსამსახურეების მუშაობის შესახებ;
- ინფორმაცია 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 6 მაისამდე აფხაზეთის ა/რ სტრუქტურების მიერ გადარიცხული დანამატის და ჯილდო/პრემიის შესახებ;
- 2020 წლის ა/რ სტრუქტურების შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ (აპრილი-მაისი);
- 2020 წელს Stopcov ფონდში აფხაზეთის ა/რ სტრუქტურების მიერ გადარიცხული თანხების შესახებ.

სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ გამართულ ონლაინ-ტრენინგებში,,კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა“ და ,,ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა“.

2.6 ეკონომიკური დეპარტამენტი

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- იგპ- თა მაქსიმალური ჩართულობა საქართველოს მთავრობისა და სხვ აორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში;
- საქართველოს რეგიონებში განსახლებული დევნილებისათვის ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციების გაწევა პროექტების გასაცნობად;
- აფხაზეთიდან იგპ-თა დასაქმებაში ხელშეწყობა.

2020 წლის პირველ ნახევარში დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ბიზნეს ჯგუფები და კომპანიები. შედგა მოლაპარაკებები მათ კომპანიებში არსებულ ვაკანსიებზე დევნილთა დასაქმებასთან დაკავშირებით.

დეპარტამენტი მონაწილეობდა შეხვედრებში ბიზნეს გაერთიანებებთან, თანამშრომლობდა სამთავრობო და არასამთავრობო (ადგილობრივი და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად ჩართული იყო საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტში „აწარმოე საქართველოში“. პროექტის სამშვიდობო ინიციატივა ,,ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ ფარგლებში, დეპარტამენტის ხელშეწყობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელების მიზნით, მომზადდა 4 ბიზნეს პროექტი (თხილის გადამუშავება, ბერძნული კაკლის მოყვანა, დაფნის

ფურცლის დაფასოება, მეფრინველეობის ფერმის შექმნა). პროექტები გადაიგზავნა სსიპ ,,აწარმოე საქართველოში“ დაფინანსების მოპოვების მიზნით.

გარდა ამისა, დეპარტამენტი თანამშრომლობდა სსიპ-თან ,,აწარმოე საქართველოში“ და დახმარებას უწევდა აფხაზეთიდან დევნილ მეწარმეებს პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად. დამყარდა საქმიანი ურთიერთობები საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრთან ,,აფხაზეთი“ მცირებიუჯეტიანი პროექტების დაფინანსების კუთხით.

2020 წელს დეპარტამენტის თანამშრომლები აგრძელებდნენ შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში განსახლებულ იგპ-თა კომპაქტურ ჩასახლებებში დევნილთა ბიზნეს აქტივობების მხარდასაჭერად.მივლინებით იმყოფებოდნენ ქ.ზუგდიდში, ბათუმსა და ქობულეთში.

დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია მოლაპარაკებები ყველა იმ მიმართულებით, რაც უკავშირდება იგპ-თა კეთილდღეობას. მათ შორის დაანონსდა და წარმატებით გაფორმდა მემორანდუმები. კერძოდ, შპს Hr Hub-თან. Hr Hub-ის ინიცირებით, პანდემიის შედეგად დაკარგული სამსახურის მაძიებელთათვის დაიწყო ელექტრონული პლატფორმის შექმნა, სადაც იგპ-ები, სამინისტროს ფეისბუქ გვერდის მეშვეობით, შეძლებენ საკუთარი რეზიუმეს გაგზავნას. ეს პლატფორმა დამუშავების პროცესშია და უმოკლეს ვადაში დაინერგება სამინისტროს საინფორმაციო ველზე. ასევე წარმატებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან - ASB საქართველო - წარმომადგენლობასთან, ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის(RDFG) წარმომადგენლობასთან, რომელიც მუშაობს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ყოფითი მდგომარეობის შემსუბუქების მიმართულებით. შედგა სამუშაო შეხვედრა ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლებთან საქართველოში (DRC). ყველა აღნიშნულ ორგანიზაციასთან სამუშაო შეხვედრებზე დაანონსდა მომავალში მემორანდუმის გაფორმება და აქტიური თანამშრომლობა იგპ-თა დასაქმების, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ხელშეწყობის და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

სტატისტიკის სამმართველოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა ყოველკვარტალური და წლიური სტატისტიკური ბიულეტენებისა და კრებულების გამოშვება, აგრეთვე კრებსითი ანგარიშების მომზადება სფეროთა და დარგთა ჭრილში აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სამმართველო საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ასევე ქ. თბილისის სტატისტიკის სამსახურს, წარუდგენდა ანგარიშების ელექტრონულ ვერსიას შრომის შესახებ საბიუჯეტო დაწესებულებებიდან (აფხაზეთის ა/რ სამთავრობო დაწესებულებები, თვითმმართველობის ორგანოები, ტერიტორიული ორგანოები) მიღებული მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე ყოველკვარტალურ სტატისტიკურ ანგარიშებს.

2020 წლის 9 თვეში მომზადდა:

- 2019 წლის IV კვარტლის, 2020 წლის I და IIკვარტალების სტატისტიკური ბიულეტენები;
- ანგარიშები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ 2019 წელს, 2020 წლის I კვარტალსა და 6 თვეში.

გარდა ამისა, სსიპ საქართველოს შემოსავლების სამსახურმა, გადასახადების ადმინისტრირების ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, მოგვაწოდა საჯარო ინფორმაცია იმ „აქტიური“ სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელთა შესახებ, რომელთა რეგისტრაციის ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა ან წარმოადგენს აფხაზეთი ან დამფუძნებლის პირადი ნომერი იწყება 62-ით. ამჟამად სტატისტიკის სამმართველო მუშაობს სიის გაფილტვრაზე. კერძოდ, აუცილებელია საქსტატის ვებგვერდზე სათითაოდ თითოეული გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შეყვანა. სისტემაში რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა აღემატება 7700-ს. ამ ეტაპზე დამუშავებულია 5 000-მდე შპს-სა და 2 500-მდე ი/მ მონაცემი.

დასრულდა მუშაობა სტატისტიკურ კრებულზე ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1985-1990 წ.წ.“. კრებულის ძველი ვერსია გამოშვებულია 1996 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. კრებულში მოტანილი მასალები მოპოვებულ იქნა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის არქივში და დარგობრივ სამმართველოებში. ამასთან ინფორმაციის გარკვეული ნაწილი მოწოდებული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ 1996 წლის გამოცემაში არ არის მითითებული წყაროები, კრებული საჭიროებდა განახლებასა და კორექტირებას. ამ მიზნით განხორციელდა მისი რედაქტირება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კრებულის თარგმნა ინგლისურ და აფხაზურ ენებზე.

2.7 ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ:

- განხორციელდა სახელმწიფო ქონების განკარგვის (როგორც მიღების, ასევე გადაცემის) 65 აქტი;
- შემუშავდა წინადადებები ქ. ქუთაისში, გუგუნავას ქ. N1-ში განთავსებული უძრავი ქონების რეგისტრაციაზე და სარგებლობის უფლებით გადმოცემაზე;
- სხვადასხვა უწყებებიდან მიღებულ და გადაცემულ იქნა 11 ავტომანქანა;
- აუქციონის წესით გაყიდულ იქნა 11 ავტოსტრანსპორტო საშუალება საერთო ღირებულებით 55 000,0 ლარი. აფხაზეთის ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე მიმართულ იქნა გაყიდული თანხის 65% - 34 957,0 ლარი;
- შედგა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15ა-ში სარდაფის სართულზე განთავსებული 900კვ.მ ფართის რეაბილიტაციის გეგმა;
- ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში განხორციელდა 18 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის გადმოცემა, რომელიც შემდგომ გადაეცა სსიპ ,,დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს*“;*
- მომზადდა მეორადი სასათბურე კონსტრუქციების მართლზომიერად და ეფექტურად გამოყენების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის ანგარიში.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების მართვა

- მომზადდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების 2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიში, 2020 წლის I კვარტლისა, 6 თვისა და 9 თვის ფინანსური ანგარიშები;
- დასრულდა ქ. თბილისში განთავსებული აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 3 პოლიკლინიკის გაერთიანების პროცესი;
- შემუშავდა წინადადებები:
  - 2019 წლის მოგების რეინვესტირებაზე;
  - სამედიცინო დაწესებულებების ,,ერთი ქოლგის ქვეშ“ მოქცევის შესახებ;
- COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებით თორმეტივე პოლიკლინიკა გადავიდა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე;
- პოლიკლინიკებს გადაეცა როგორც სპეც. აღჭურვილობა, ასევე მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა; COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით შემუშავდა მუშაობის საგანგებო გეგმა, ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების შესაბამისი ფორმები;
- პოლიკლინიკებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები;
- სამეგრელოს რეგიონში განთავსებული პოლიკლინიკები (ჯვარი, ზუგდიდი, ხობი, სენაკი, ფოთი) ახორციელებენ ყოველდღიურ მორიგეობას შსს თანამშრომლებთან ერთად აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, რათა ადგილზე მოახდინონ აფხაზეთიდან გადმოსული მოქალქეების თერმო სკრინინგი;
- შპს-ების ფაქტიურმა მოგებამ 9 თვეში შეადგინა 81170 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან (108 941,0 ლარი) შედარებით 25%-ით ნაკლებია, აღნიშნული კლება ძირითადში განაპირობა პანდემიის პერიოდში კოვიდინფექციის საპრევენციო ღონისძიებებისათვის ხარჯების ზრდამ და ბენეფიციართა მომართვიანობის შემცირებამ;
- სოფ. რუხში არსებულ მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრში, COVID-19 წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, შეიქმნა მოხალისე მედიკოსთა სარეზერვო ჯგუფი 46 პირის ოდენობით;

თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKATiflis) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისის მიერ დიაბეტის თემაზე დაგეგმილ ტრენინგში მონაწილეობის მიზნით შედგა აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებიდან მონაწილე პირთა ნუსხა (სულ 50 პირი) და განისაზღვრა ტრენინგის ჩატარების სამი ლოკაცია (ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი).

2020 წლის 10 სექტემბერს გაიმართა აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ (რომლის წილსაც მართავს აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) 100%-იანი წილით შექმნილი საწარმოების საქმიანობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მართვაში არსებულ სტრუქტურებში (შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ზუგდიდის პოლიკლინიკა, შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი ცხუმი“ და შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი ბიჭვინთა“) განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დასკვნა. მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, იურიდიული დეპარტამენტი ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტთან ერთობლივად მუშაობს შპს-ების წესდებაში

შესატან ცვლილებებზე, რაც უფრო მობილურს და ეფექტურს გახდის შპე-ების მართვას და მკაფიოდ განსაზღვრავს პარტნიორისა და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელების ვალდებულებებს.

2.8 აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებას წარმოადგენდა იგპ-თა მიერ ინიცირებული პროექტების სრულყოფა და განხორციელების ხელშეწყობა; კონსულტაციების გაწევა სხვადასხვა სახის პროექტების განსახორციელებლად.

ამ მიზნით კონსულტაციები გაეწია:

ბენეფიციარი	ადგილმდებარეობა	პროექტი
ი/მ გიორგი რაფავა	ს. კახათი	დაფნის საკუთარი საწარმოს გაფართოება
ი/მ ლაშა სამუშია	ხობი	მექანიკური საამქროს გაფართოება
დევნილთა საინიციატივო ჯგუფი	მარნეულის რაიონი, ,,პობედას“ დას.	მეცხოველეობის განვითარება
ი/მ მარიკა გოგოხია ი/მ მარი ჯანელიძე	ქ. თბილისი, დიღომი	ხურმის საშრობი საწარმოს სრულყოფა და გაფართოება
ი/მ ია ხარჩილავა	ქ, თბილისი, სანზონის დასახლება	სამკერვალო საამქროს გაფართოება
ი/მ იური ბებია	ს. აღაიანი	მეცხოველეობის განვითარება

სამსახურის მიერ შემუშავდა უალკოჰოლო სასმელების წარმოების პროექტები, რომელთა მიმართ გარკვეული დაინტერესება გამოიჩინეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე ბიზნესმენებმა. დამყარდა ურთიერთობები ქართველ მეწარმეებთან, რომელთაც აღადგინეს პანდემიამდე დამყარებული კავშირი აფხაზ მეწარმეებთან. საკითხი გულისხმობს რეცეპტურით უალკოჰოლო სასმელების ერთობლივი წარმოების მოწყობას აფხაზეთში. მიმდინარეობს მუშაობა პროექტის განხორციელების დეტალებზე.

სამსახურის მიერ ინიცირებული და შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამა სამოქმედო გეგმით „სოფლის მეურნეობისა და მისი დარგების პოპულარიზაცია აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებში“, რომლის მიზანია მეტი ახალგაზრდის მოზიდვა აგრარულ სფეროში.

შედგენილია დამწყებ ფერმერთათვის სარეკომენდაციო სახის ბუკლეტები - „ხილის შრობა“, „ცუკატების წარმოება“, „ხილის ჩირებისა და კენკროვანი კულტურების გადამუშავება“ და „დაფნის საწარმო“, სადაც დაწვრილებითაა გაწერილი ყველა ტექნოლოგიური ოპერაცია და წარმოების დეტალები. გაკეთებულია საწარმოს ნახაზები და სამშენებლო საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა.

სამსახურების დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის პერიოდიდან განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის არსებულ სიტუაციაზე მორგება. კერძოდ, ძირითად პრიორიტეტებად დასახულ იქნა იგპ-თათვის გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების მოძიებაში ხელშეწყობა ძირითადად მესაქონლეობის, მეფრინველეობის,მეკურდღლეობისა და ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების, სანერგე და საჩითილე მეურნეობის განვითარებისათვის, ანუ ისეთი

მიმართულებების მხარდაჭერა, რომლებიც კვების პროდუქტთა წარმოებაზე არიან ორიენტირებული. ამასთან ერთად, სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის პრაქტიკული რეკომენდაციები იგპ-თა ფაქტიური საცხოვრებელი ფართების პირობებში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი საარსებო წყაროს მოძიებაში მრავალ ადამიანს. შემუშავდა საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათები მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარების მსურველთათვის.

საანგარიშო პერიოდში სამსახური მუდმივად აკვირდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებს და მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე ცდილობდა ისეთ ბენეფიციართა გამოვლენას, რომლებიც აკმაყოფილებენ ინვესტორთა მოთხოვნებს. აღნიშნული საქმიანობით მოკლე პერიოდში გამოვლენილ იქნა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო ორგანიზაცია GRETA”-ს წაყენებულ კრიტერიუმებს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციაშიGRETAგრანტის მოსაპოვებლად განაცხადი შეიტანეს:

ბენეფიციარი	რეგიონი	თემა
მეწარმეთა 5-კაციანი ჯგუფი	ზემო სვანეთი, სოფ. უშგული	ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება - ხორბლის მოყვანა 68 ჰა ფართობზე, აგრეთვე მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოს და პურსაცხობის ქარხნის მოწყობა
მარინა გურჩიანი	ზემო სვანეთი, სოფ. უშგული	ორგანული სასოფლო-სამეურნეო ბოსტნეულის წარმოება - კარტოფილი, ბოსტნეული

მიმდინარეობდა იმ იგპ-თა იდენტიფიცირება, რომლებსაც გააჩნდათ 0.5 ჰა და მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები შესაძლო პროექტების განხორციელების მიზნით.

კონსულტაცია გაეწიათ:

ბენეფიციარი	თემა
კობა კურდღელია	სენაკის რაიონში 2 ჰა ფართობზე დაფნის კულტურის განვითარება
ნინო მიქაუტაძე	ლოკოკინის ფარმაცევტიკაში და კოსმეტიკაში გამოყენება
ნოდარ თოფურია	ინფრაწითელი სხივებით შრობის მეთოდი; საშრობი დანადგარის შემენა

გარდა ამისა, სამსახური მონაწილეობდა დევნილთათვის დროებით სარგებლობაში ადრე გადაცემული სახელმწიფო ქონების, კერძოდ სასათბურე კონსტრუქციების მიზნობრივი გამოყენების საკითხის გარკვევაში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქვედა ზონის მიმდებარე სოფლებში განხორციელდა 21 სასათბურე მეურნეობის დათვალიერება, ფოტოგადაღება და დეტალური ამსახველი სურათის წარმოდგენა.

2.9 შიდა აუდიტის სამსახური

სამსახურის მიერ:

- ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემუშავდა 2019 წლის განმავლობაში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში;
- აუდიტი განხორციელდა (გარდამავალი ტიპის აუდიტი) სსიპ,, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრში ,,ბიზნეს-ინკუბატორი“;

სამსახურის მიერ ამჟამად ხორციელდება შპს ,,სენაკის დევნილთა პოლიკლინიკის“ ფინანსური აუდიტი (შესამოწმებელი პერიოდი 2018-2019 წლები).

გარდა ამისა, აუდიტის სამსახურის მიერ მინისტრის დავალების შესაბამისად, ხორციელდება სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტის, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის, სსიპ ,,აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს“ და სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს“ მიერ შესაბამისი დებულებებით განსაზღვრული ამოცანებისა და ძირითადი ფუნქციების შესრულების მდგომარეობის შესწავლა, ამჟამად ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის გაცნობა და ანალიზი.

3. სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ 2020 წლის 9 თვეში განხორციელებული აქტივობები

3.1 საქვეუწყებო დაწესებულება-აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდში საქვეუწყებო დაწესებულება-აგრარულ საკითხთა დეპერტამენტის (შემდგომში-„დეპარტამენტი“) საქმიანობა კვლავ მიმართული იყო (დებულების თანახმად) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ დევნილებისა და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენი თანამემამულეთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაზე.

- ✓ დეპარტამენტის სპეციალისტების აქტიური მუშაობით შესრულდა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო საქართველოს რეგიონებში (მუნიციპალიტეტების მიხედვით) *აფხაზეთიდან ი.გ.პ-თა საკუთრებაში არსებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 0,5 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დაზუსტება-შესწავლა, შემდგომში ელექტრონული ბაზის შექმნისა და სხვადასხვა აგრარულ პროექტებში და პროგრამებში მათი ჩართულობაში ხელშწყობის მიზნით.* ამ პერიოდისათვის მიმდინარეობს ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად დამუშავებული მასალების სისტემატიზირება, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

- ✓ შემუშავებული ფორმატის მიხედვით პარარელურად მიმდინარეობს *ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის რაიონების სოფლებში*

გავრცელებული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემების შესწავლა-დამუშავება, შემდგომში ამ მასალების გამოყენებით სათანადო ელექტრონული ბაზის შექმნის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დადგა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან ინფორმაციის მოთხოვნაზე მომართვიანობის მნიშვნელოვანი ზრდის საფუძველზე. განსაკუთრებული აქტუალობა ჰპოვა ამ საკითხმა „აწარმოე საქართველოს“ ქვეპროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში მცირე გრანტების პროგრამის ამოქმედების შემდგომ. მნიშვნელოვანია, რომ ამ დღეებში დაანონსებულ ახალ საგრანტო კონკურსში („მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“), რომელიც აგრეთვე მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის ბიზნეს-აქტივობების მხარდაჭერაზე, უკვე არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ (ამჟამად აფხაზეთში მცხოვრებმა) მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს ხელთ არსებული საინფორმაციო ბაზა კარგ სამსახურს გაუწევს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ (განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებთ)მოსახლეობას არა მარტო აღნიშნულ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობისას, არამედ თავიანთი ბიზნეს-საქმიანობის სწორედ დაგეგმარებისთვის.

- ✓ დეპარტამენტის თანამშრომლები აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვადასხვა უწყებების სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ ქვეყნის მასშტაბით ბენეფიციარებზე გადაცემული *მეორადი სასათბურე კონსტრუქციების მართლზომიერად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით მონიტორინგში.* ამის თაობაზე შესაბამისი ანგარიში წარედგინა სამინისტროს ხელმძღვანელობას.

- ✓ *„მდ. ენგურის ე.წ გამყოფი ხაზის ორივე მხარეზე მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის“* პროგრამის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ამორტირიზირებული და გადაბერებული თხილის და სხვა მრავალწლიანი პლანტაციების ჩანაცვლებას მაღალპროდუქტიული, სხვადასხვა დაავადებებისა და ავდმყოფობის მიმართ უფრო გამძლე თანამედროვე ჯიშებით. საპილოტე ნაკვეთების გასაშენებლად მიმდინარეობს ბენეფიციართა შერჩევის პროცესი, როგორც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განსახლებულ დევნილებში. პროგრამის მიზანია მებაღეობის ბიზნესში ჩართულ დევნილ-ფერმერებში ინტენსიური (ე.წ. „ინდუსტრიული“) მებაღეობის პრინციპებისა და მიდგომების პოიპულარიზაცია.

- ✓ ამავე პერიოდში სამინისტროში შემავალი სხავ და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობით დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ:

- შემუშავებული და შედგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვალონში „აგროსერვისის ცენტრის“ (რომლის საქმიანობის უნდა მიმართულ იქნას რეგიონში მცხოვრებ დევნილ-ფერმერებისთვის სათანადო აგრარული მიმართულების სერვისების მიწოდება) *ლოკალურ ხარჯთაღრიცხვის ესკიზ-პროექტი* (თან ერთვის);

-უზრუნველყოფილ იქნა აქტიური ჩართულობა ი.გ.პ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ ,,აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროების უზრუნველყოფა *ერთწლიანი კულტურების წარმოების* გზით“ პროგრამაში *ზუგდიდისა და ხობის* მუნიციპალიტეტებში

-დევნილ-ფერმერთა უნარ-ჩვევების ამაღლების უზრუნველსაყოფად (და დევნილი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველძე) მომზადებულ იქნა იმ აგრარული კულტურების (რომელთა მოვლა მოყვანა განზრახული აქვთ ბენიფიციარებს მათზე რიცხულ მიწის ფართობზე, როგორიცაა გოჯი ბერი /ლათ.Licium Barbarum, ჟოლო, დაფნა და მოცვი) დამუშავების აგრო-ტექნოლოგიური რჩევა-რეკომენდაციები მეთოდოლოგიის შემუშავება და მათ მიეწოდათ კომუნიკაციის სხვა და სხვა საშუალებების გამოყენებით (ბეჭდვითი მასალა,on-line კავშირი, სოციალური ქსელების გამოყენებით და ა.შ.);

- ✓ როგორც მოგეხსენებბათ, აფხაზეთიდან დევნილთა შორის მაღალია დაინტერესება *მეფუტკრეობის* დარგში ჩართულობაზე. დეპარტამენტის ინიციირებით და დევნილთა მიერ შექმნილი კოოპერატივი „კოდორი“2015“ (რომელშიც უკვე გაერთიანებულია 14 პროფესიონალი და დამწყები მეფუტკრე) აგრძელებს აქტიურ და წარმატებულ საქმიანობას. საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ სხვა და სხვა რეგიონში მცხოვრებ დევნილთა საფუტკრეებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ იქნა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლის გამოსასწორებლად 12 მეფუტკრეს ადგილზე გაეწიათ რეკომენდაციები და ჩაუტარდათ კონსულტაციები პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად.

- ✓ დეპარტამენტის სპეციალისტები აქტიურად არიან ჩართული თურქეთის განვითარების სააგენტოს “*TIKA-ს” დაფინანსებით მხარდაჭერილ მასშტაბურ პროგრამში („მეფუტკრეობის დარგში დასაქმებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა პროფესიულ უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და მათი შემოსავლების ზრდის ხელსეწყობა“).* პროექტს გავლილი აქვს 2-საფეხურიანი ექსპერტიზა და COVID-19-ის გამო არსებული შეზღუდვების მოხსნისთანავე დაიწყება მისი იმპლემენტაცია სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში, აგრეთვე გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

- დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარ მიმართულებათ კვლავ რჩება *აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებისთვის ვეტერინარული და მცენარეთადაცვითი სერვისების მიწოდება.* დეპარტამენტის სპეციალისტები პერიოდულად გადადიან ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. აქტიურად მიმდინარეობდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარება გალის რაიონში ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების მიზნით. ჩვენს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 25 სახეობის 19.600 ლარის ღირებულების ვეტმედიკამენტები, რომლებიც ჩვენი 8 ვეტსპეციალისტის მიერ გამოყენებულ იქნა შინაურ ცხოველთა და ფუტკართა ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო გეგმიური და არაგეგმიური, საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად. ამასთანავე მათ მიერ გაზაფხულის პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიაზე 6800 სულზე მეტ შინაურ პირუტყვს ჩაუტარდა გეგმიური იმუნიზაცია დაავადება-„თურქულზე“ და „ნოდურალურ დერმატიტზე“ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სპეციალისტებთან ერთად. საანგარიშო პერიოდში სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება გაეწია 8 000-ზე მეტ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 700 ოჯახამდე ფუტკარს და 150- სულამდე ღორს. სამწუხაროდ, წელს COVID-19-ის პანდემიის გამო ვერ მოხერხდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე ვეტსპეციალისტებისათვის გათვალისწინებული გეგმიური ტრენინგი. მიუხედავად ამისა გვაქვს აწყობილი მათთან მუდმივი სატელეფონო და on-line კომუნიკაცია, რაც საშუალებას გვაძლევს მუდმივ რეჟიმში ვახორციელოთ კონტროლი იქ მიმდინარე პროცესებზე. სიამოვნებით გვინდა ავღნიშნოთ ის, რომ მიმდინარე წელს (პირველად -!) შევძელით ვეტერინარული სერვისების მიწოდების არეალის გაფართოება ოჩამჩირისა და ნაწილობრივ ტყვარჩელის რაიონების რიგი სოფლების მეშვეობით.

ბუნებრივია, ამ მიმართულებით გასაკეთებელია გაცილებით მეტი - თუმცა არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად ბოლო პერიოდში შესაძლებელი გახდა :

- მცირე და საოჯახო მეურნეობებში მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის მიმართულებების პოზიტიური დინამიკის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის მიერ მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის ჯანსაღი და უვნებელი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გარკვეული ზრდა გასულ წლებთან შედარებით;
- ადგილობრივი მოსახლეობის ზოონოზური დაავადებებისაგან დაცვის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- გალის რაიონში კეთილსაიმედო ეპიზოოტური სიტუაციის შენარჩუნება და სხვა .
  - ✓ რამოდენიმე სიტყვით *მცენარეთა დაცვის* საკითხზე. მიმდინარე წლის სამუშაო გეგმის მიხედვით მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მიერ იანვარ-თებერვლის თვეში ოკუპირებული გალის, ნაწილობრივ ოჩამჩირისა და

ტყვარჩელის რაიონების რიგ სოფლებში შესწავლილ იქნა ე.წ. „ახალგაზრდა“ მოსავლიანი თხილის პლანტაციების ფართობების ოდენობა, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 1 500 ჰექტარი. ასევე იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრისა და საგაზაფხულო სამუშაოების დასაგეგმად აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობას გაეწია სათანადო კონსულტაციები. აღნიშნული რაიონების სოფლებში საგაზაფხულო აგროტექნიკური ღონისძიებები მიმდინარეობდა ხარისხიანად და ვადების დაცვით.

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლისთვის ოკუპირებული გალის რაიონისა და ნაწილობრივ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში *„აზიური ფაროსანას“* საწინააღმდეგოდ ქიმიური ღონისძიებების ჩასატარებლად მრავალწლიან კულტურებზე დაახლოებით 14 500 ჰა-ზე ორჯერადი წამლობისათვის საჭიროა 17 200 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი. ერთწლიანი კულტურების ერთჯერადი ქიმიური ღონისძიებების ჩასატარებლად დაახლოებით 7 200 ჰა-ზე საჭიროა 2 900 ლიტრი პრეპარატი. სულ აღნიშნულ რაიონებში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ქიმიური დამუშავებისათვის საჭიროა 20 100 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი დაახლოებით 21 700 ჰა-ზე.

აღსანიშნავია ამ მიმართულებით მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, რადგან გატარებული პროგრამული ღონისძიებების შედეგად განვლილ პერიოდთან შედარებით მოსავლიანობა და ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ზრდამ საშუალოდ შეადგინა 75-85%.

სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან“ აქტიური თანამშრომლობით განხილულ (ხელმძღვანელობასთან და სპეციალისტებთან შეხვედრები) იქნა „აზიური ფაროსანას“, სხვა მავნებლებზე და დაავადებების საწიანააღმდეგოდ ქიმიური ღონისძიებების ჩატარების მეთოდები. ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმუნიზაციის ჩატარებისა და ვეტერინარული სერვისების მიწოდების გზებსა და მეთოდებზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 თებერვლის N 374 განკარგულების „ქვეყანაში „აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ა/რ მთავრობისათვის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო 20 000 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი ქიმიური პრეპარატი.

სახელმწიფო პროგრამის დროულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე წინა წლებში გამოყენებული სქემით უნდა განხორციელებულიყო პრეპარატის გადატანა და პლანტაციების ქიმიურად დამუშავება. კერძოდ: გამოყოფილი პრეპარატის ნაწილი გადაეცემოდა აფხაზეთის ე.წ. „დე-ფაქტო“ ხელისუფლებას, ხოლო პრეპარატის ძირითადი ნაწილი აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელშეწყობით ე/წ ბუფერულ ზონაში გადაიგზავნებოდა დეპარტამენტის მიერ წინასწარ შერჩეული და დატრენინგებულ ზონის ხელმძღვანელების მეშვეობით, რომლებიც მოახდენდნენ ქიმიურად შეწამვლითი სამუშაოების ორგანიზებას.

თუმცა, შემდგომში ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით აფხაზეთის ა/რ მთავრობაზე გამოყოფილი ბიფეტრინის შემცველი ინსექტიციდის გადაცემა განხორციელდა უსუალოდ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაზე საკოორდინაციო მექანიზმის (გაეროს განვითარების პროგრამა UNDP პროექტ „დიალოგი“-ის) მეშვეობით

<u>დეპარტამენტის ჩართულობის გარეშე</u>, ამ ეტაპზე დეპარტამენტი მოკლებულა ამ პროგრამის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელების შესაძლებლობას. მიუხედავად ზემო აღნიშნული გარემოებისა, დეპარტამენტის სპეციალისტებს აქვთ ყოველდღიური სატელეფონო კომუნიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან, მ.შ. ე.წ. „ზონის ხელმძღვანელებთან". მათგან მიღებულ ინფორმაცია ოპერატიულად მიეწოდება ჩვენს სამინისტროს და სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს".

კერძოდ, მოწოდებული ინფორმაციით გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების რიგ სოფლებში მრავალწლიან მცენარეებზე დაფიქსირდა *ამერიკული თეთრი პეპელას* აბლაბუდა. სამწუხაროდ ასევე გავრცელებულია სოკოვანი და ბაქტერიალური დაავადებები, რომლის შესახებ ინფორმირებულ იქნა სსიპ ' სურსათის ეროვნული სააგენტო".

- ✓ შემლებისდაგვარად ვცდილობთ ჩვენი კადრების პროფესიონალური დონის ამაღლებაზე - 2020 წლის სექტემბრში დეპარტამენტის ორმა საჯარო მოხელემ სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში" საბაზისო პროგრამის ფარგლებში გაიარა სასწავლო კურსი მოხელის პროფესიული განვითარებისათვის თემაზე ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება."

- ✓ და ბოლოს. საქართველოს მთავრობის მიერ Covid-19 ვირუსის პრევენციის უზრუნველსაყოფად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ და აფხაზეთის ა/რ მთავრობის რეკომენდაციების გათვალისწინებით დეპარტამენტის რიგი თანამშრომელი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, რომლის დროსაც დეპარტამენტში საჭიროების მიხედვით დადგინდა მორიგეობა, აღნიშნულ პერიოდში დეპარტამენტის პროფესიულ საჯარო მოხელეებმა გადაინაწილეს საერთო საქმიანობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები და ნაწილი on-line რეჟიმით და საჭიროების შემთხვევაში ნაწილი მორიგეობით სამსახურში გამოცხადებით (დაავადების პრევენციისათვის დადგენილი საჭირო რეკომენდაციების სრული დაცვით) ასრულებს თავის მოვალეობას. ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დეპარტამენტს არ შეუჩერებია თავისი საქმინობა.

3.2 საქვეუწყებო დაწესებულება-ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და წარმოდგენილ იქნა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფახოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულებები რეგიონების მიხედვით. დადგენილ იქნა ის ობიექტები, რომელიც მოითხოვდა გადაუდებელ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

გაკეთდა საპროექტო სამუშაოები, შედგენილ იქნა დეფექტური აქტები და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა შემდეგ ობიექტებზე:

ობიექტი	სამუშაო	ღირ-ბა,

		ლარი
1.გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვაზიანის დასახლება	პურსაცხობის, საკვები და სოც.დარბაზის შენობის სანიტ.-ტექნ. მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასათვალისწ. ღონისძიებები	14 941,0
2. ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვალონი	აგროსერვისის ცენტრის სატრაქტორო პარკის ესკიზური პროექტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	67 717 ,0
3.თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ (ყოფ. 120 ბაგა-ბაღი), ზურა მირაქიშვილის ქ.	დევნილთა კორპუსის ბრტყელი სახურავის სარემონტო სამუშაოების დეფექტური აქტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	23 154,0
4. თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, მრევლიშვილის N17	4-სართულიანი კორპუსის წყალსაწრეტი მილებისა და წყალშემკრები არხების მოწყობა	7 199,0
5. ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N1	3-სართულიანი სახლის სარემონტო სამუშაოები	18 746,0
6. ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N1	სარემონტო სამუშაოები	7 567,5
7. თბილისი, ც. დადიანის N134ა (ყოფ. რკინიგზის პროფ. სასწავლ.)	კორპუსის სველი წერტილების მონტაჟი და სარემონტო სამუშაოები	19 952,0
8. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N89/24, მე-13 სართ.	აღმ. საქართველოში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წამომადგენლობის ოფისის სარემონტო სამუშაოები	23 342,0
9. თბილისი, თამარაშვილის N15ა	საოფისე ფართისთვის 400 მ2 სარდაფის სართულის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (მ.შ. I ეტაპი 30 253,0)	109 271,7
10. თბილისი, თამარაშვილის N15ა	აფხაზეთიდან იგპ-თა პოლიკლინიკისათვის სამშენებლო სამუშოების ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	319 533,0
11. თბილისი, თამარაშვილის N15ა	ა(ი)პ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ოფისის სარემონტო სამუშაოების მოსაწყობად ესკიზური ნახაზი, დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა	4 950,0
12. თბილისი, თამარაშვილის N15ა	I სართული - აფხაზეთის ა/რ ოჩამჩირელთა კავშირი, ფეხბურთის მუზეუმი ,,ერთობა“ - სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, დეფექტური აქტი, სარემონტო სამუშაოები	2 700,0 1 250,0
13. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზთის ა/რ მინისტრის	ოფისის რეკონსტრუქციის პროექტი, დეფექტური აქტი და ხარჟთაღრიცხვა	104 834,0

აპარატი		
14. თბილისი, წმინდა ილორის სახელობის ტაძარი	კეთილმოწყობის პროექტი (ხარჯთაღრიცხვის გარეშე)	
15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იგპ-თა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემული 17 ობიექტი ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონებში	გადაუდებელი სარმონტო სახის სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა	30 357,0
16. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იგპ-თა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემული 4 ობიექტი, მ.შ. ქუთაისში 2 ობიექტი, ზუგდიდში - 1 ობიექტი, ფოთში - 1 ობიექტი	სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების დეფექტური აქტები და შესაბამისი ხარჯთაღრიხცვა	50 966,0
17. ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N1, გეოფიზიკის ინსტიტუტში აფხაზეთიდან იგპ-თა ჩასახლებულ კორპუში	წყალგაყვანილობის მოწყობა - ხარჯთაღრიცხვა	1 208,0
18. ქ. თბილის, ვაჟა-ფშაველას გამზ. უმაღლესი საბჭოს მე-6 სართ.	სველი წერტილების მოწყობა	15 456,0
	საკონფერენციო დარბაზის რეკონსტრუქცია	8 887,8
19. ქ. თბილისი, ყაზბეგის 42	აფხაზეთის ა/რ ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულის სარემონტო სამუშაოები	25 742,0
20. ქ. რუსთავი, კოსტავას 35, იგპ-თა კომპაქტ. ჩასახლ. კორპუსი	სველი წერტილებისა და სადარბაზოს მოწყობა	22 233,3

სულ საანგარიშო პერიოდში გაკეთდა 42 ობიექტის საპროექტო-სახარჯთათრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 880 007ლარი. ზემოხსენებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გადაეცა დამკვეთ ორგანიზაციებს.

3.3 სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“

- **(პროგრამული კოდი 18 03 02) - შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგების ანალიზი, მართვის სტრატეგია და სენსიტიურ უბნებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მეთოდები .**

აფხაზეთის ტერიტორიაზე, სანაპირო ზოლის სიახლოვეს (4–7 კმ–ს დაშორებით სანაპიროს ხაზიდან) დიდი რაოდენობით ინერტული მასალის მოპოვება მიმდინარეობს (დაახლოებით 2 მლნ $მ^3$ წელიწადში), რაც გეოლოგიური თვალსაზრისით ძალიან ძლიერ ზემოქმედებას ახდენს შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთის სანაპირო ზოლის ლითოდინამიკურ წონასწორობაზე. ჩვენი სპეციალისტების მიერ დისტანციური მეთოდით ზუსტად არის შემოკონტურებული აბრაზიული (მორეცხილი უბნები) და აკუმულაციური (დაგროვების) უბნები, რაც აუცილებლობას წარმოადგენს განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები.
დათვლილია აბრაზიული უბნების ფართობები:
ბზიფის სანაპირო ზოლი, რომლის აბრაზიამ შეადგინა – 242 801 $მ^2$ ფართობი.
გუმისთის სანაპირო – 208 420 $მ^2$.
კელასურის სანაპირო – 384 500 $მ^2$.
კოდორის სანაპირო – 169 200 $მ^2$
ჯამში აღსადგენმა ფართობმა სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად მასალის ჩაყრა, შეადგინა 1 004 921 $მ^2$.
იმისათვის, რომ ჩვენ სწორად გავიაზროთ რა ხდება ამ თვალსაზრისით, აუცილებელია მონიტორინგის სისტემის შექმნა უშუალოდ აფხაზეთის სანაპირო ხაზის ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს სხვადასხვა სახის სენსორების განლაგებას სენსიტიური უბნების ადგილებში.
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემით უნდა დავაინტერესოთ აფხაზეთში მოღვაწე ამ დარგის სპეციალისტები, ეკოლოგები, რომლებმაც ადგილზე უნდა შექმნან მონიტორინგის მობილური სისტემა.

- **(პროგრამული კოდი 18.03.03) დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში კომპლექსური გეოეკოლოგიური კვლევების განხორციელება, გასატარებელი ღონისძიებების დასახვა და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.**

გეოეკოლოგიური კვლევები
მუშაობის ოპტიმიზაციისათვის შეიქმნა დამოუკიდებელი სასერვერო სივრცე;
ტრენინგი ჩაუტარდა და გადამზადდა 14 თანამშრომელი;
შეიქმნა აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების მონაცემთა ბაზა.
მონაცემთა ბაზაში ასახულია 1323 ობიექტის დასახელება, მისამართი, რეგისტრირებული ოჯახების და დევნილების რაოდენობა.
შესწავლილ იქნა 40 ობიექტი;
მომზადდა გეოეკოლოგიური და საინჟინრო დასკვნა;
ქვეყანაში კორონავირუსის (COVID-19) გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე მარტის ბოლოდან სსიპ ,,აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“-ს პროგრამის ფარგლებში დაიწყო დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში სადეზინფექციო სამუშაოები. პირველ რიგში სადეზინფექციო სამუშაოები განხორციელდა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების მაღალი რისკის მქონე ობიექტებში.
ქალაქ თბილიში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა 204 ობიექტზე, ქალაქ ხონში 17 ობიექტზე, საერთო ფართი 138 975 $მ^2$.
დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში მაცხოვრებელთა მოთხოვნის შესაბამისად აფხაზეთის მთავრობამ ბიუჯეტში ცვლილებების პერიოდში გაითვალისწინა

დამატებით 228 000 ლარი. სააგენტოს დაკვეთით ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს ,,დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტ"-მა პირველი ეტაპი დაიწყო 17.09.2020-ში და სრულად დამთავრდა 02.10.2020-ში. სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა 1225 ობიექტში, რომელიც შეეხო 40 000 -მდე დევნილ ოჯახს.

თბილისი - 611 ობიექტი;
ქვემო-ქართლის - 60 ობიექტი;
მცხეთა-მთიანეთი - 2 ობიექტი;
სამცხე-ჯავახეთი - 8 ობიექტი;
კახეთი - 4 ობიექტი;
იმერეთი - 133 ობიექტი;
ლეჩხუმი - 2 ობიექტი;
სამეგრელო-ზემო სვანეთი - 392 ობიექტი;
აჭარა - 36 ობიექტი.
ასევე დამატებით 22 ობიექტში სადაც გამოვლინდა covid-19 განხორციელდა სადეზინფექციო სამუშაოები.

სადეზინფექციო სამუშაოების მეორე ეტაპი განხორციელდება ოქტომბერ-ნოემბრის თვეში.

- **პროგრამა (18.03.05) დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა.**

პროექტის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის მათ საერთო სარგებლობაში არსებული ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემა.
პროგრამის ფარგლებში აზომვითი ნახაზები შემდგომი რეგისტრაციის მიზნით მომზადებულია 30 ობიექტზე. 11 ობიექტზე მიმდინარეობს აზომვითი სამუშაოები. 30 ობიექტიდან 22 ობიექტი მდებარეობს ქ. ბათუმში, 8 ობიექტი ქ. თბილისში.

პროგრამების ფარგლეფში ჩართული იყო 22 დევნილი.

3.4 სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო

2020 წლის თებერვალში, მას შემდეგ რაც დაფიქსირდა კორონავირუსის გავრცელების პირველი შემთხვევა საქართველოს მთავრობამ დაიწყო მკაცრი პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობდა საგენგებო მდგომარეობის შემოღებას, შეზღუდვებს ბიზნეს-საქმიანობის კუთხით და ა.შ. ზემოთაღნიშნულმა მკვეთრად გააურესა მოსახლეობის, მათ შორის დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და წარმოშვა საჭიროება ხელისუფლების ყველა დონეზე საქმიანობის პრიორიტეტების გადახედვის. შესაბამისად ა/წ 2 აპრილსა და 28 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შედეგად დაკორექტირდა სააგენტოს მიმდინარე პროგრამები და დამტკიცდა ახალი პროგრამები, სულ 9 პროგრამა

კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანთლებლო სივრცის მოწყობა	7 000.0 ლარი
დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	5 450.0 ლარი
მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა	75 000.0 ლარი
დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება	441 860.0 ლარი
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	18980.0 ლარი
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად	42 750.0 ლარი
,აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	106 700.0 ლარი
„დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“	65 849.0 ლარი
„დევნილთა საარსებო წაყროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“	25 000.0 ლარი

სულ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტმა შეადგინა 788 589 ლარი

გარდა ამისა, სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართების - თამარაშვილის N15ა-ს ნახევარსარდაფი და ყაზბეგის N42 საოფისე ფართი-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ იქნა 145 000,0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- *,,კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგანმანათლებლო სივრცის მოწყობა“* ფარგლებში განხორციელდა კოლხური ბზის ნერგების გამოყვანა, დაახლოებით 4000-მდე ნერგი.
- პროგრამის *„დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“* ფარგლებში 2019 წლის ბოლოს შეძენილი კარკასული აუზისათვის მოეწყო საძირკველი, გაკეთდა საშხაპე, მოეწყო წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ქსელი. პროგრამა შესრულებულია;
- პროგრამის *„მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში შემოიღობა 30 ჰა მიწის ფართობი, მოცვის გაშენებისათვის დამუშავდა 10 ჰა. ამჟამად გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დასაქმდა 4 ბენეფიციარი. ამ ეტაპზე

პროგრამის პარტნიორი ,,მედერი“ ახორციელებს ლურჯი მოცვის დარგვის მოსამზადებელ სამუშაოებს;

➢ პროგრამის *,,დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება“* ფარგლებში კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები მაღალი რისკ ჯგუფში შემავალი 70 წელს ზემოთ პირების დახმარების მიზნით გამოყოფილ იქნა 450 000.0 ლარი. შეძენილ იქნა 9 000 სასურსათო კალათა და სააღდგომო ნობათი, რომლის განაწილება საქართველოს მასშტაბით განახორციელა აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრომ.

დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
სასურსათო კალათა	9 000	36.05	324 150.0
სააღდგომო ნობათი	9 000	9.0	81 000.0
ტრანსპორტირება			7 600.0
შესაფუთი მუყაოს ყუთები			2 635.0
სპეცჟილეტები			600.0
პოლიეთილენის პაკეტები			240.0
ჟილეტებზე ბეჭდვა, კეპები, სტიკერები			1 460.0
სულ ხარჯი			*417 985.0*

გარდა ამისა, ამავე პროგრამის ფარგლებში, თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA TIFLIS) მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთის - 20 ტონა პურის ფქვილის და შესაბამისი ინგრედიენტების მეშვეობით განხორციელდა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობისათვის 60 ათასი პურის ცხობა და გადანაწილება ქ. თბილისში განთავსებულ დევნილთა 43 კოლექტიურ ცენტრში. აღსანიშნავია, რომ ცხობა განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზიანში ამავე სააგენტოს მიერ მოწყობილ პურის საცხობში შპს „ელ-გამას“ მიერ. პროგრამის ბენეფიციარი იყო 8 000 დევნილი ოჯახი. აქტივობაზე გამოყოფილ იქნა 23 875.0 ლარი.

➢ პროგრამის *,,დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“* ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში შემოიღობა და დამუშავდა სააგენტოს ბალანსზე არსებული 8 ჰა მიწის ფართობი, დაითესა სიმინდი. უშუალოდ სიმინდის მოვლაში და მოსავლის აღებაში ჩართული იყო 7 დევნილი ოჯახი. მიღებული მოსავალი (დაახლოებით 20 ტონამდე), გაუნაწილდება გარდა ზემოთაღნიშნული 7 ოჯახისა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 26 დევნილ ოჯახს.

➢ პროგრამის *„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზე არსებულ მიწის ფართობზე მოეწყო დაფნის სანერგე. დასრულდა სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც გულისხმობდა წყლისა და დაწვიმების სისტემების გამართვას. დაიწყო დაფნის თესლის ჩათესვის სამუშაოები. პროგრამის განხორციელების შედეგად დაგეგმილია ყოველწლიურად 80 000-მდე დაფნის ნერგის გამოყვანა;

➢ პროგრამის *,,აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით"* ფარგლებში ხობის

მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში შემოიღობა სააგენტოს ბალანსზე არსებული 18 ჰა მიწის ფართობი, დამუშავდა 10 ჰა და დაითესა სიმინდი. დასაქმდა სხვადასხვა ვადიანი ხელშეკრულებით 9 დევნილი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოვლა-პატრონობის სამუშაოები. დაგეგმილია დაახლოებით 22 -25 ტონა სიმინდის მოსავლის აღება;

- პროგრამის *„დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“* ფარგლებში განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობისათვის ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია. მომზადდა საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია, აღებულ იქნა სამშენებლო ნებართვა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ალფა-8“ შეასრულა სატენდერო პირობები და დასრულდა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია. საქართველოს ქონების ეროვნული სააგენტოდან იჯარის ნებართვის მიღების შემდგომ მოხდება ზემოთაღნიშნული შენონა-ნაგებობის იჯარით გაცემა და დასაქმდება 10 აფხაზეთიდან დევნილი
- *„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“* ფარგლებში ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რეგიონებში მცხოვრები 10-მდე დევნილი ფერმერი, რომელიც დაკავებულია სასათბურე ბიზნესით, მიიღებს სასათბურე ფირსა და დამჭერ პროფილებს.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 10 000 ლარით კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შესყიდულ იქნა 10 000 პირბადე.

დაიწყო სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართების (თამარაშვილის 15ა-ს ნახევარსარდაფი და ყაზბეგის N42 საოფისე ფართი) რეაბილიტაცია. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ახორციელებენ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

გარდაბნის რაიონის სოფ. ვაზიანში N1 სამხედრო დასახლებაში თურქეთის კოორდინაციისა და თანამშრომლობის სააგენტოს TIKA მიერ რეაბილიტირებულ შენობაში მოეწყო საცხობი და სოციალური სააგენტო, რომელიც იჯარით არის გაცემული შპს ,,ელგამაზე“ და ყოველთვიურად საიჯარო გადასახადის სახით შემოდის 650,0 ლარი.

3.5 სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“

საანგარიშო პერიოდში ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ სარგებლობაში არსებული ფართებიდან (17 727 კვ.მ) იჯარით დატვირთული იყო 9 445 კვ.მ. ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სულ დასაქმებული იყო 23 პირი (მ.შ. ბიზნესინკუბატორში სტაჟირებაგავლილი 2 პირი). შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4-წლიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში დასაქმდა დამატებით 10 ადამიანი. მოიჯარე კომპანიებში დასაქმებული იყო 100-მდე პირი, რომელთა შორის 21 პირი იყო დევნილი.

პერიოდულად ხორციელდებოდა დევნილთა დასაქმების მიზნით გადაცემული სასათბურე კონსტრუქციების მონიტორინგი. მოიჯარეებს დახმარება გაეწია შემოსავლების სამსახურში წარსადგენი ელექტრონული კითხვარების შევსებაში, უმეტესობამ სამუშაოს გაგრძელების ნებართვა ვერ მიიღო. მოიჯარეებმა (როგორც ფართების, ისე სასათბურე კონსტრუქციების მოიჯარე იურიდიული და ფიზიკური პირები) ბიზნეს-ინკუბატორს

მიმართეს საიჯარო ხელშეკრულებების დროებით (შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებამდე) შეჩერებასთან დაკავშირებით.

COVID-19თთან დაკავშირებული მოვლენების შედეგად, მოიჯარეების მცირე ნაწილმა ნაწილობრივ, ხოლო სხვებმა, მიმდინარე წლის ივნისამდე, მთლიანად შეწყვიტეს ეკონომიკური საქმიანობა. ეს სიტუაცია აისახა ბიზნეს-ინკუბატორის შემოსავლების ნაწილში. 2020 წლის 9 თვეში სახელმწიფო ქონების იჯარით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 75 595,0 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულმა თანხამ ჯამურად შეადგინა 23 280,0 ლარი (ქონების გადასახადი - 5 596.0 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 17 683,0 ლარი). პერსონალის სახელფასო ფონდმა შეადგინა 63 200,0 ლარი, მათ შორის საგრანტო პროექტით - 58 950,0 ლარი.

3.6 სსიპ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა

პალატის საქმიანობის განსაზღვრულ პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა;
- ახალი საწარმოებისადა სამუშაო ადგილების შექმნა;
- კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
- ოკუპირებული აფხაზეთის გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა;
- პანდემიის პირობებში მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, ბიზნესის არსებულ გარემოსთან ადაპტაცია და შემდგომი განვითარება;
- კვლევა ახალი კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;
- მეწარმეებისათვის ახალი ბიზნესიდეებისა და მზა პროექტების შეთავაზება ახალი ბიზნესების წამოწყებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

პალატა თანამშრომლობდა აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებთან და არასამთავრობო სექტორთან, უზრუნველყოფდა გამოფენებში დევნილების მონაწილეობას. თბილისის მერიის დახმარებით დაეხმარა აფხაზეთიდან დევნილ მეწარმეებს მონაწილეობა მიეღოთ საახალწლო სოფლის ბაზრობაში, სადაც იგპ-ებმა შეძლეს წარმოდგენილი ხელნაკეთიპროდუქციის რეალიზაცია.

ალტერნატიული ფინანსური წყაროების მოძიების მიზნით პალატა მეწარმეებსა და დევნილებს უწევდა ბიზნეს კონსულტაციებს, ეხმარებოდა ბიზნეს გეგმების შედგენასა და საგრანტო კონკურსებში პროექტების წარდგენაში, უზრუნველყოფდა მეწარმეთა მონაწილეობას ტრენინგებსა და სემინარებში. კერძოდ:

- ტრენინგი საგანმანათლებლო პროექტის ,,დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს დამსაქმებლეთა ასოციაციასთან, სააგენტო ,,აწარმოე საქართველო“, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით. ტრენინგი ჩატარდა რუხია ინოვაციების ცენტრში;

- ტრენინგი ,,მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური აღრიცხვის სტანდარტები“ - იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ჩართულობით.
- ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა USAID-ის პროგრამის ,,ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში“ (YES-Georgia) ფარგლებში.

გაფორმდა მემორანდუმები:

- იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატთან;
- შპს ,,ბიზნეს ვენიუსთან“;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან - დამამთავრებელი კურსის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებულ საწარმოებში. გაიმართა პროგრამის ,,სტაჟირება დევნილი სტუდენტებისათვის“, რომელიც ტრანსლირდებოდა პირდაპირი ეთერით.

მეწარმე ქალების სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტთან ბატიკის, გობელენისა და თექის მიმართულებით.

ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, პალატამ დაიწყო მუშაობა ბიზნეს გეგმაზე - აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საქმიანობის მხარდჭერის მიზნით ინტერნეტ მაღაზიის შექმნა, რათა პანდემიის პირობებში არ შეფერხდეს მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობა. ამგვარი შეთავაზების ფარგლებში მეწარმეები შეძლებენ ონლაინ მაღაზიის tutashop-ge-ს საშუალებით პროდუქციის გაყიდვა/მიწოდებას საქართველოს მასშტაბით. აეწყო ვებ-გვერდი, ჩაშენდა თიბისის ონლაინ გადახდის სისტემა.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ჩაერთო საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ დაწყებულ კვლევაში ბიზნესშიCOVID-19-ით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიკითხა აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებული 100-მდე კომპანიის წარმომადგენელი.

გარდა ამისა, პალატა მეწარმეებს მუშაობსშემდეგ ბიზნეს პროექტებზე:

- აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული აცთენტური ვაზის ჯიშების მოძიება, აღდგენა და პოპულარიზაცია. დაფინანსების შემთხვევაში იგეგმება სადემონსტრაციო მეურნეობის შექმნა და ვაზის ჯიშების აღდგენასთან დაკავშირებული შემეცნებითი ტრენინგების ორგანიზება. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ოკუპაციის შედეგად შექმნილი გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული მოსახლეობის ურთიერთობათა აღდგენა-გაღრმავებას;
- ერთჯერადი ლატექსის ხელთათმანების წარმოება;
- სასათბურე მეურნეობის შექმნა;
- ტრადიციული მეთოდით და თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მავნე ეთერზეთების გარეშე ბიოლოგიურად და ეკოლოგიურად სუფთა ჭაჭის წარმოება;
- ტრადიციული მეთოდით და თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით თიხის ნაკეთობების წარმოება (მეთუნეობა);

- ავეჯის საწარმოს გახსნა დასავლეთ საქართველოში, საწარმოს ბაზაზე სწავლება დუალური მეთოდის გამოყენებით.

3.7 ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის

ფონდის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- აფხაზეთიდან დევნილთა დახმარება მეწარმეობის განვითარებისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- დასაქმებადა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ადვოკატირება და კონსულტირება

საანგარიშო პერიოდში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

- შეიქმნა ორგანიზაციის ვებ-გვერდი www.iids.ge, სადაც შესაძლებელია განაცხადების შევსება და გადმოგზავნა ავტომატურ რეჟიმში;
- შეიქმნა სოციალური გვერდები ფეისბუქის, ინსტაგრამის, ტვიტერის და ლინქდინის ონ-ლაინ პლატფორმებზე
- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

დასახელება	**ბიუჯეტი, ლარი**	**შინაარსი**
საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა მცირე ბიზნესის მატერიალური მხარდაჭერის ქვეპროგრამა	**42 000,0**	აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება და ამ საწარმოებში დასაქმებულ დევნილ პირთა ეკონომიკური ხელშეწყობა ***ათვისებული თანხა შეადგენს 41 660,0 ლარს***
– შპს "ელ გამა"-ს შენობის სახანძრო უსაფრთხ. სისტემით აღჭურვა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისას მოწყობა	15 160,0	
– საოჯახო მედიცინის ცენტრი "აფხაზეთისათვის" კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის სისტემის მონტაჟი	22 071,0	
– ი/მ ია ხარჩილავასთვის სამკერვალო ტექნიკის შეძენა	2 600,0	
– შპს "ჯი-დი გრუფი"-სთვის საპროფილაქტიკე ტექნიკის შეძენა (ჯამურად 20,000 ლარი)	1 830,0	
განათლების ხელშეწყობის პროგრამა	**13 240,0**	აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი - მოწყვლადი პირების განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა. პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან, მათ შორის სწავლების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე
– განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამა (სწავლის დაფინანსება)	**10 240,0**	

– სტიპენდიებისა და ჯილდოების ქვეპროგრამა	**3 000,0**	განაცხადების მიღება დასრულდა 30 სექტემბერს და ბოლო ეტაპის გამარჯვებული სტუდენტები დაფინანსდებიან ოქტომბრის პირველ ნახევარში, ხოლო სტიპენდიების ქვეპროგრამის განაცხადების მიღება დაიწყება ოქტომბრის მეორე დეკადიდან ***ათვისებული თანხა შეადგენს 7 456,0 ლარს****(სწავლის დაფინანსება)*
ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა	**24 971,0**	აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის აქტივობები და ღონისძიებები, მათ შორის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდისა და ავადობის პრევენციის ღონისძიებები. COVID19-ის პრევენციის მიზნით დევნილობაში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერისათვის ორგანიზაციის მიერ შეძენილ იქნა ერთჯერადი გამოყენების სამედიცინო სახარჯი მასალები ***ბიუჯეტი მთლიანად იქნა ათვისებული***
– ავადობის პრევენცია - Covid19-თან ბრძოლისთვის სამედიცინო სახარჯი მასალების შეძენა-გადაცემა აფხაზეთის მთავრობისთვის და მედიკამენტების პროგრამა	**24 971,0**	
დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა	**1000,0**	აფხაზეთიდან დევნილი პირების, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი კატეგორიის მხარდაჭერა მათთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. ამ პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი - 6 შვილის დედა, რომელსაც შევუძინეთ და გადავეცით ავეჯი 1000 ლარის ოდენობით ***ბიუჯეტი მთლიანად იქნა ათვისებული***

- მოპოვებულ იქნა უფლება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილების მისაღებად. ფონდს მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი (ე.წ. SAM number). მიმდინარე ეტაპზე ფონდი გადის შესაბამის პროცედურებს ევროკავშირის გრანტების მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად Pador სისტემაში;
- კვლევა აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონთა (მათ შორის შშმ პირთა) საჭიროებების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, შესწავლის მიზნით;
- კონსულტაციები მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის და განათლების ხელშეწყობის პროგრამის სუბსიდიარებს შორის;
- 86 პირს ჩაუტარდა სამართლებრივი კონსულტაცია და სწორი ინფორმირება საჭირო პრობლემურ საკითხებზე;
- ორგანიზაციის ბიუჯეტიდან, დევნილთა ჯანმრთელობის დაცვისა და ავადობის პრევენციის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, შეძენილ იქნა 24 971,0ლარისსამედიცინო მასალები და აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის

სამინისტროს მეშვეობით დროულად გადაეცა სამედიცინო დაწესებულებებს, მედპერსონალს და მოსახლეობას.

საანგარიშო პერიოდში ფონდი, სახსრების მოძიების მიზნით,ცდილობდა საქმიანი კონტაქტების დამყარებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან - BEARR Tsust, ევროპის ფონდი, ამერიკის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა, არბაითერ-სამარიტერბუნდი საქართველო (ASB), ევროკავშირი ENPARD, ქეა ავსტრია, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ფიფლინნიდ (PIN).მონაწილეობდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში.

4. სამინისტროს სხვა აქტივობები

სამინისტროს მუშაობის შინაარსზე და მეთოდებზე სერიოზული გავლენა იქონია მ.წ. მარტში COVID-19 გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სამინისტროში შემავალ სტრუქტურებს მოუხდა სერიოზული კორექტივების შეტანა მუშაობის დღის წესრიგში საქართველოს მთავრობის განკარგულების (N529 2020 წლის 12 მარტი)ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 მარტის N01-135/ო ბრძანებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით დამტკიცებულ ინფექციაზე (COVID-19) საეჭვო შემთხვევების მართვა პირველად ჯანდაცვაში, აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2020 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით (ოქმი N2) და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის N01/20 ბრძანების საფუძველზე, 13 მარტიდან თანამშრომლების 70%-მდე გადაყვანილ იქნა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. შემუშავებულ იქნა სამინისტროს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გეგმა. სამინისტროს სამუშაო ფართზე ჩატარდა რეკომენდირებული სადეზინფექციო სამუშაოები, თანამშრომლები უზრუნველყოფილ იყვნენ სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით - პირბადეებით და ხელთათმანებით. შემოღებულ იქნა თანამშრომელთა ყოველდღიური თერმოსკრინინგი, კონტროლირდებოდა ყოველდღიური ტემპერატურული რეჟიმი დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებთან სატელეფონო კავშირით. მიუხედავად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას ხელი არ შეუშლია სამინისტროსათვის თავისი მოვალეობის მაღალ დონეზე შესასრულებლად.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ Stopcov ფონდში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 16 298.0 ლარი.

კორონავირუსის COVID-19 გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების შემდგომი ეტაპისა და პოსტპანდემიური პერიოდისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო გეგმა-პროექტების ჩარჩოებში სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებები (12 პოლიკლინიკა) აგრძელებს მუშაობას საგანგებო

მდგომარეობის რეჟიმში. დაგეგმილია სამედიცინო პროფილაქტიკური გასვლები დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია 6 სამედიცინო მუშა ჯგუფი - 2 თბილისში, 2 იმერეთში, 2 სამეგრელოში. გრძელდება მუშაობა რისკ ფაქტორების მქონე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი ბენეფიციარების ერთიანი ბაზის შესაქმნელად პოსტპანდემიურ პერიოდში მათთან აქტიური სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად.

ქვეყანაში გამოცხადებული ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ,,დევნილთა საარსებო წყაროების პროექტებისა და პროგრამების მხარდამჭერი სააგენტოს“ მიერ ინიცირებული 5 ახალი პროექტის წარმატებით განსახორციელებლად, რომელიც დაფინანსდა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და ითვალისწინებდა სასათბურე მეურნეობების მოწყობას სამეგრელოსა და შიდა ქართლში, სიმინდის მოყვანას, დაფნის საამქროს მოწყობას, მოცვის სადემონსტრაციო პლანტაციის გაშენებას. თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (Tika Tiflis) მხარდაჭერით დასრულდა ვაზიანის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე პურსაცხობის და სოციალური დარბაზის მშენებლობა. ამ ობიექტებზე დასაქმებულ იქნა აფხაზეთიდან დევნილი 10-მდე თანამემამულე. Tika Tiflis მხარდაჭერით 2020 წელს დაგეგმილია ახალი პროექტების განხორციელება.

მინისტრის 2020 წლის 23 ივლისის N01/37 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ შესწავლილ იქნა, თუ რამდენად მართლზომიერად და სწორად ხორციელდებოდა სსიპ ,,აფხაზეთიდან იგპ-თა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრ ბიზნესინკუბატორის“ და სსიპ ,,დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამენის სააგენტოს“ (ყოფილის სსიპ - აფხაზეთის გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო) მიერ იჯარით გაცემული სასათბურე კონსტრუქციების გამოყენება.

გარდა ამისა, 2020 წლის 10 სექტემბერს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით სტატისტიკური მონაცემების ეფექტიანად გამოყენებას.